ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032311784-03
თარიღი: 27.04.2023 17:03
ვადა: 29.05.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01231171516 განცხადების თარიღი: 27.04.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცების თაობაზე.

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032311784-03
27.04.2023 : 17:03
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01231171516**
თარიღი: **27/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

2023 წლის 26 აპრილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიიღო N 23.565.624 განკარგულება, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის თაობაზე“.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, განიხილოთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცების საკითხი.

დანართი: 13 (ცამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 23.565.624
26 / აპრილი / 2023 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ა“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება N
2023 წლის — - -------
ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესი“, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (შემდგომში - ფონდი) მიერ პროექტის დაფინანსების მიზნით, ჩასატარებელი კონკურსის წესს, ფონდის წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში.
2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.
3. ამ წესის შესაბამისად, პროექტის დაფინანსების მიზნით, ფონდის დირექტორი ქმნის საკონკურსო განაცხადის განმხილველ კომისიას/კომისიებს (შემდგომში - კომისია). კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ფონდის დირექტორი.
4. კომისიის შემადგენლობაში შედიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ფონდის თანამშრომლები, ასევე, თანამედროვე ხელოვნების დარგის სპეციალისტები.

მუხლი 2. დაფინანსების მიმღები სუბიექტი

ამ წესით გათვალისწინებული დაფინანსების მიმღები სუბიექტი შეიძლება იყოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული ან მეწარმე ფიზიკური პირი.

მუხლი 3. საკონკურსო განაცხადის წარდგენა

1. დაფინანსების მისაღებად, წინამდებარე წესით განსაზღვრულმა სუბიექტმა ელექტრონული ფორმით, წერილობით, განცხადებით უნდა მიმართოს ფონდს, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სრულყოფილად შევსებული საკონკურსო განაცხადი. განაცხადი ორიენტირებული უნდა იყოს თანამედროვე ხელოვნების სფეროს განვითარებაზე. განაცხადს, აგრეთვე უნდა ერთოდეს ფონდის დირექტორის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თანადაფინანსების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
2. საკონკურსო განაცხადის ფორმას, პროექტის სახეს, პროექტის ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას, განხორციელების ვადას და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას განსაზღვრავს ფონდის დირექტორი ბრძანებით, ფონდის თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. ფონდი ამ წესის შესაბამისად განახორციელებს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების შექმნის დაფინანსებას. კერძოდ, დაფინანსდება: ქალაქის საჯარო სივრცეებში ინსტალაციების (კონცეპტუალური ხელოვნების ობიექტი) განთავსება; ქალაქის საჯარო სივრცეებში ვიზუალური/აუდიოვიზუალური ხელოვნების პროექტების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.; სხვადასხვა ფერწერული გამოფენის ორგანიზება.
4. დაფინანსებისთვის მოთხოვნილი თანხა წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.
5. ფონდი კონკურსს განათავსებს სოციალურ ქსელში, ფონდის ვებგვერდზე ან/და სხვა ელექტრონული პლატფორმის საშუალებით.
6. ფონდი კონკურსის დასრულებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, ამოწმებს საკონკურსო განაცხადის დადგენილ ფორმასთან და ამ წესთან შესაბამისობას. თუ დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან/და არ არის სრულად/ნაწილობრივ წარმოდგენილი ფონდის დირექტორის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, ფონდი დაინტერესებულ სუბიექტს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეს.
7. ფონდის მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საკონკურსო განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 4. საკონკურსო განაცხადის განხილვა და დაფინანსება

1. თუ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ფონდი საკონკურსო განაცხადს განსახილველად უგზავნის კომისიას.
2. საკონკურსო განაცხადის განხილვისას და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება განაცხადის შესაბამისობა ამ წესით დადგენილ პრიორიტეტებთან და ფონდის მიზნებთან, მისი განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, განაცხადის შესაბამისობა წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვასთან, საკონკურსო განაცხადის ინტელექტუალური ღირებულება, აგრეთვე განმცხადებლის გამოცდილება და უნარი განახორციელოს წარდგენილი პროექტი.
3. წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი არ უნდა ახდენდეს რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას. დაუშვებელია საკონკურსო განაცხადში სიძულვილის ენის გამოყენება.
4. შენიშვნის არსებობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია სუბიექტს მოსთხოვოს შესწორებული საკონკურსო განაცხადის წარდგენა კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.
5. კომისია განაცხადს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის დასრულებიდან არაუგვიანეს 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში.
6. თუ წარდგენილი საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25 000 ლარს (ოცდახუთი ათასი) ლარს, საკონკურსო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია.
7. თუ წარდგენილი საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 25 000 ლარს (ოცდახუთი ათასი) ლარს, საკონკურსო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში,

კომისია საკონკურსო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს ფონდის დირექტორს, რათა მან უზრუნველყოს აღნიშნული პროექტის წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადის დაფინანსების შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.
9. მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება განმცხადებელს.
10. ერთი და იმავე სუბიექტის მიერ საკონკურსო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ყოველ გამოცხადებულ კონკურსში მხოლოდ ერთხელ.
11. კონკურსის შედეგები საჯაროა.

მუხლი 5. ხელშეკრულების დადება

1. ფონდსა და დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების საფუძველია წინამდებარე წესის შესაბამისად კომისიის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.
3. ხელშეკრულების დადების, შეცვლის, შეჩერების და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. ხელშეკრულების ღირებულების ცვლილება შესაძლებელია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროექტის სრული ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობისა.

მუხლი 6. დაფინანსების ადმინისტრირება

1. ფონდი უფლებამოსილია დაფინანსება გასცეს ეტაპობრივად. ანაზღაურება ხორციელდება დაფინანსებული სუბიექტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
2. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 80%-ის ოდენობით, საავანსო თანხის ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადას. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. დაფინანსების მიმღებმა სუბიექტმა ავანსის თანხა უნდა გამოიყენოს მხოლოდ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.
3. დაფინანსების მიმღები სუბიექტი უფლებამოსილია მიმართოს ფონდს წერილობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის პუნქტებს შორის თანხების გადანაწილების თაობაზე.

4. დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია განახორციელოს ფინანსების ხარჯვა მიზნობრივად, ფონდსა და სუბიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. კონტროლის განხორციელება

1. ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისა და ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს ფონდის პროექტის მენეჯერი.
2. ხელშეკრულების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, პროექტის მენეჯერი უფლებამოსილია მოითხოვოს პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე სამუშაო პროცესის ნახვა, შესაბამისი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია, ხოლო დაფინანსებული სუბიექტი ვალდებულია მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

მუხლი 8. ანგარიშის წარდგენა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების შემდეგ, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, დაფინანსების მიმღებმა სუბიექტმა, ფონდს უნდა წარმოუდგინოს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, აგრეთვე ინფორმაცია ფონდის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესრულების ანგარიშის ფორმის შესაბამისად.
2. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ავანსის სახით მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაფინანსების მიმღები სუბიექტი აბრუნებს ფონდის მიერ მითითებულ ანგარიშზე.
3. ფინანსური ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების შესაბამისად.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის” დაფუძნების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 2 მარტის N 23.264.310 განკარგულებით დაფუძნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საჯარო ხელოვნების ფონდი (ს/ნ 405605484), რომლის საქმიანობის მიზანსაც წარმოადგენს ხელი შეუწყოს: თანამედროვე ხელოვნების და არტისტების პოპულარიზაციას, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების ხელმისაწვდომობას საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის; გამოფენებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერას და მათი შემოქმედებით ზრდის წახალისებას; ღია კონკურსების მეშვეობით სახელოვნებო სფეროში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებას და ხელოვანების, მათ შორის ახალგაზრდა ხელოვანების ექსპერიმენტული, ინოვაციური, შემოქმედებითი და მასშტაბური პროექტების განხორციელებას; სხვადასხვა სახის შეხვედრის, კონფერენციის, სიმპოზიუმ(ებ)ის, ჩვენების, ლექციის, ტურის, ვორქშოფის და მსგავსი ბუნების/ხასიათის ღონისძიების ჩატარების მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოებაში კულტურული, შემოქმედებითი შეგნების ამაღლებას და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის ამაღლებას; წამყვან დასავლურ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის მეშვეობით თანამედროვე საერთაშორისო ხელოვნების პოპულარიზაციას საქართველოში, ხოლო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას საზღვრებს გარეთ; საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების შექმნას და აღნიშნულის მეშვეობით ქალაქ თბილისის იერსახის გალამაზებას.

ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, საჭიროა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცება. აღნიშნული წესით განსაზღვრულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის

გამოცხადების პროცედურა, საკონკურსო განაცხადების წარდგენის პროცედურა, საკონკურსო განაცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურა და ა.შ. აღნიშნული წესით გათვალისწინებული კონკურსი მოიცავს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების შექმნის დაფინანსებას. კერძოდ, დაფინანსდება: ქალაქის საჯარო სივრცეებში ინსტალაციების (კონცეპტუალური ხელოვნების ობიექტი) განთავსება; ქალაქის საჯარო სივრცეებში ვიზუალური/აუდიოვიზუალური ხელოვნების პროექტების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.; სხვადასხვა ფერწერული გამოფენის ორგანიზება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება N
2023 წლის -- - -------
ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესი“, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (შემდგომში - ფონდი) მიერ პროექტის დაფინანსების მიზნით, ჩასატარებელი კონკურსის წესს, ფონდის წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში.
2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.
3. ამ წესის შესაბამისად, პროექტის დაფინანსების მიზნით, ფონდის დირექტორი ქმნის საკონკურსო განაცხადის განმხილველ კომისიას/კომისიებს (შემდგომში - კომისია). კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ფონდის დირექტორი.
4. კომისიის შემადგენლობაში შედიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ფონდის თანამშრომლები, ასევე, თანამედროვე ხელოვნების დარგის სპეციალისტები.

მუხლი 2. დაფინანსების მიმღები სუბიექტი

ამ წესით გათვალისწინებული დაფინანსების მიმღები სუბიექტი შეიძლება იყოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული ან მეწარმე ფიზიკური პირი.

მუხლი 3. საკონკურსო განაცხადის წარდგენა

1. დაფინანსების მისაღებად, წინამდებარე წესით განსაზღვრულმა სუბიექტმა ელექტრონული ფორმით, წერილობით, განცხადებით უნდა მიმართოს ფონდს, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სრულყოფილად შევსებული საკონკურსო განაცხადი. განაცხადი ორიენტირებული უნდა იყოს თანამედროვე ხელოვნების სფეროს განვითარებაზე. განაცხადს, აგრეთვე უნდა ერთოდეს ფონდის დირექტორის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თანადაფინანსების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
2. საკონკურსო განაცხადის ფორმას, პროექტის სახეს, პროექტის ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას, განხორციელების ვადას და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას განსაზღვრავს ფონდის დირექტორი ბრძანებით, ფონდის თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. ფონდი ამ წესის შესაბამისად განახორციელებს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების შექმნის დაფინანსებას. კერძოდ, დაფინანსდება: ქალაქის საჯარო სივრცეებში ინსტალაციების (კონცეპტუალური ხელოვნების ობიექტი) განთავსება; ქალაქის საჯარო სივრცეებში ვიზუალური/აუდიოვიზუალური ხელოვნების პროექტების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.; სხვადასხვა ფერწერული გამოფენის ორგანიზება.
4. დაფინანსებისთვის მოთხოვნილი თანხა წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.
5. ფონდი კონკურსს განათავსებს სოციალურ ქსელში, ფონდის ვებგვერდზე ან/და სხვა ელექტრონული პლატფორმის საშუალებით.
6. ფონდი კონკურსის დასრულებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, ამოწმებს საკონკურსო განაცხადის დადგენილ ფორმასთან და ამ წესთან შესაბამისობას. თუ დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან/და არ არის სრულად/ნაწილობრივ წარმოდგენილი ფონდის დირექტორის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, ფონდი დაინტერესებულ სუბიექტს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეს.
7. ფონდის მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საკონკურსო განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 4. საკონკურსო განაცხადის განხილვა და დაფინანსება

1. თუ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ფონდი საკონკურსო განაცხადს განსახილველად უგზავნის კომისიას.
2. საკონკურსო განაცხადის განხილვისას და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება განაცხადის შესაბამისობა ამ წესით დადგენილ პრიორიტეტებთან და ფონდის მიზნებთან, მისი განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, განაცხადის შესაბამისობა წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვასთან, საკონკურსო განაცხადის ინტელექტუალური ღირებულება, აგრეთვე განმცხადებლის გამოცდილება და უნარი განახორციელოს წარდგენილი პროექტი.
3. წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი არ უნდა ახდენდეს რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას. დაუშვებელია საკონკურსო განაცხადში სიძულვილის ენის გამოყენება.
4. შენიშვნის არსებობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია სუბიექტს მოსთხოვოს შესწორებული საკონკურსო განაცხადის წარდგენა კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.
5. კომისია განაცხადს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის დასრულებიდან არაუგვიანეს 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში.
6. თუ წარდგენილი საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25 000 ლარს (ოცდახუთი ათასი) ლარს, საკონკურსო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია.
7. თუ წარდგენილი საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 25 000 ლარს (ოცდახუთი ათასი) ლარს, საკონკურსო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში,

კომისია საკონკურსო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს ფონდის დირექტორს, რათა მან უზრუნველყოს აღნიშნული პროექტის წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადის დაფინანსების შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.
9. მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება განმცხადებელს.
10. ერთი და იმავე სუბიექტის მიერ საკონკურსო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ყოველ გამოცხადებულ კონკურსში მხოლოდ ერთხელ.
11. კონკურსის შედეგები საჯაროა.

მუხლი 5. ხელშეკრულების დადება

1. ფონდსა და დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების საფუძველია წინამდებარე წესის შესაბამისად კომისიის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.
3. ხელშეკრულების დადების, შეცვლის, შეჩერების და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. ხელშეკრულების ღირებულების ცვლილება შესაძლებელია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროექტის სრული ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობისა.

მუხლი 6. დაფინანსების ადმინისტრირება

1. ფონდი უფლებამოსილია დაფინანსება გასცეს ეტაპობრივად. ანაზღაურება ხორციელდება დაფინანსებული სუბიექტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
2. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 80%-ის ოდენობით, საავანსო თანხის ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადას. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. დაფინანსების მიმღებმა სუბიექტმა ავანსის თანხა უნდა გამოიყენოს მხოლოდ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.
3. დაფინანსების მიმღები სუბიექტი უფლებამოსილია მიმართოს ფონდს წერილობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის პუნქტებს შორის თანხების გადანაწილების თაობაზე.

4. დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია განახორციელოს ფინანსების ხარჯვა მიზნობრივად, ფონდსა და სუბიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. კონტროლის განხორციელება

1. ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისა და ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს ფონდის პროექტის მენეჯერი.
2. ხელშეკრულების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, პროექტის მენეჯერი უფლებამოსილია მოითხოვოს პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე სამუშაო პროცესის ნახვა, შესაბამისი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია, ხოლო დაფინანსებული სუბიექტი ვალდებულია მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

მუხლი 8. ანგარიშის წარდგენა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების შემდეგ, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, დაფინანსების მიმღებმა სუბიექტმა, ფონდს უნდა წარმოუდგინოს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, აგრეთვე ინფორმაცია ფონდის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესრულების ანგარიშის ფორმის შესაბამისად.
2. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ავანსის სახით მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაფინანსების მიმღები სუბიექტი აბრუნებს ფონდის მიერ მითითებულ ანგარიშზე.
3. ფინანსური ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების შესაბამისად.